პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 242 (4752) 1972 წ. 9 დეკემბერი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ანდრეიკოს მეშვიდე ოქროს მედალი

გუშინწინ რიგაში დამთავრდა ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. დასკვნითს, XIX ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ა. ანდრეიკომ (რიგა) ყაიმით დაამთავრა შეხვედრა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ვ. შჩოგოლევთან (მოსკოვი) და 13 ქულით I ადგილი დაიკავა. საინტერესოა, რომ რიგელმა დიდოსტატმა მეშვიდედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი.

II-III ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა ა. განტვარგმა (მინსკი) და ოსტატმა ლ. სლობოდსკოიმ (ხარკოვი) — 12-12 ქულა.

• • •

სურათზე: ანდრის ანდრეიკო.

[illegible] ტელეფონით

## ნონა და ნანა: ყაიმი

ვრნიაჩკა-ბანიადან (იუგოსლავია), სადაც ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის IV გათამაშება მიმდინარეობს, მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი გვატყობინებს:

— V ტურში ნანა და მე შევხვდით ერთმანეთს. პარტია ყაიმით დამთავრდა. იუგოსლაველმა პიხაილიჩმა მძაფრი წინააღმდეგობა გაუწია უნგრელ ვერეცის და პარტია გადაიდო. დაუმთავრებელი დარჩა აგრეთვე ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია) — ტიმერის (ჰოლანდია) შეხვედრა.

ივანკამ (უნგრეთი) მოუგო ვეტშტაინს (შვეიცარია), მერლინიმ (საფრანგეთი) — ერენსკას (პოლონეთი), კონარკოვსკა-სოკოლოვამ (იუგოსლავია) — პოლიქრონიადეს (რუმინეთი).

VI ტურში ყაიმით დამთავრდა სამი შეხვედრა: ვერეცი — პოლიქრონიადე, ერენსკა — ერეტოვა, ტიმერი — ვეტშტაინი. სამი პარტია გადაიდო: ალექსანდრიას უპირატესობა აქვს პიხაილიჩთან, კონარკოვსკა-სოკოლოვას — მერლინისთან. მე ივანკასთან პაიკი მაკლია, მაგრამ საყაიმო პოზიცია მაქვს.

6 ტურის შემდეგ ვერეცისა და მე 4-4 ქულა და თითო გადადებული პარტია გვაქვს (I ტურის გადადებულ პარტიაში ვერეციმ მოუგო ივანკას და არა პირიქით, როგორც წინა ნომერში ვიტყობინებოდით. — რედ.). ალექსანდრიასა და ივანკას 3,5-3,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.

დღეს შედგება გადადებული პარტიების დამთავრება.

8 დეკემბერი.

## თამაშის განახლებისას...

მოჭადრაკე ვაჟთა მე-40 საკავშირო ჩემპიონატში (ბაქო) 13 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო. აი, მისი შედეგები: ლ. ალბურტი (ოდესა) — ვ. ზილბერშტეინი (ორსკი) 1:0, ს. ფურმანი (ლენინგრადი) — კ. გრიგორიანი (ერევანი) 0,5:0,5, ლ. შამკოვიჩი — ა. ლეინი (ორივე — მოსკოვი) 0,5:0,5, ვ. ბაგიროვი (ბაქო) — ფურმანი 1:0, რ. ხოლმოვი — დ. ბრონშტეინი (ორივე — მოსკოვი) 1:0, ალბურტი — ვ. სავონი (ხარკოვი) 0:1, რ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი) — ნ. რაშკოვსკი (კურგანი) 1:0, ზილბერშტეინი — ჯინჯიხაშვილი 0,5:0,5, ვ. ჟიდკოვი (კიევი) — ხოლმოვი 0,5:0,5, შამკოვიჩი — გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) 0,5:0,5, ე. ვასიუკოვი (მოსკოვი) — შამკოვიჩი 0:1, ვასიუკოვი — ა. კაპენგუტი (მინსკი) 1:0, ჟიდკოვი — ვასიუკოვი 0,5:0,5. დაუმთავრებელი დარჩა მხოლოდ შამკოვიჩ — ხოლმოვის პარტია.

XIV ტურში, რომელიც გუშინწინ გაიმართა, ზილბერშტეინმა მოუგო ი. რაზუვაევს (მოსკოვი). პარტიები: ბაგიროვი — შამკოვიჩი, კუზმინი — ჟიდკოვი და ალბურტი — მუხინი ყაიმით დამთავრდა.

სხვა პარტიები გადაიდო. ტალს ფურმანთან თავიდან უარესი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ჯერ პაიკის, მერე კი ეტლში ორი ფიგურის შეწირვით ინიციატივას თავად დაეუფლა. ვასიუკოვმაც მძიმე პოზიცია მიიღო, მაგრამ სიძნელეებს თავი ვერ დააღწია. ხოლმოვმა ეტლების ენდშპილში უპირატესობა შეინარჩუნა.

14 ტურის შემდეგ მ. ტალს 9 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ე. ვასიუკოვს — 8,5 (1), მ. მუხინს — 8.

რ. ჯინჯიხაშვილს 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ე. გუფელდს — 5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

## დარჩა ორი ტური

სან-ანტონიო, 7 დეკემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში გადადებული პარტიების დამთავრების მერე პორტიში (უნგრეთი) მიუახლოვდა შეჯიბრების ლიდერს კარპოვს (სსრ კავშირი), რომელსაც 13 ტურის შემდეგ 9,5 ქულა აქვს. პორტიშმა მოუგო სეიდის (აშშ) და ახლა კარპოვს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება.

ლარსენის (დანია) შეუპოვარი დაცვის მიუხედავად, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პეტროსიანმა (სსრ კავშირი) შეძლო გადადებული პარტიის მოგებამდე მიყვანა, შემდეგ კი სეიდისაც (აშშ) სძლია. კერესი (სსრ კავშირი) სმითს (აშშ) დაუზავდა.

დაუმთავრებელი დარჩა მეკინგის (ბრაზილია) პარტიები კამპოს-ლოპესთან (მექსიკა) და პეტროსიანთან.

სან-ანტონიო, 8 დეკემბერი. დასასრულს მიუახლოვდა მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირი, მაგრამ ჯერ კიდევ შეუძლებელია გამარჯვებულის დასახელება — I ადგილის პრეტენზიას რამდენიმე მონაწილე აცხადებს. მეკინგის ორი გადადებული პარტიის დამთავრების შემდეგ (პეტროსიანთან — წაგება, კამპოს-ლოპესთან — მოგება) 13 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის ყველა უჯრედი შეივსო. ორი დასკვნითი ტურის წინ მოწინავე ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: კარპოვი — 9,5 ქულა, პეტროსიანი, პორტიში — 9-9, კერესი, გლიგორიჩი — 8,5-8,5, ლარსენი, სათლზი — 8-8, ჰორტი, მეკინგი — 7,5-7,5.

## თბილისის პირველობის სტარტი

რესპუბლიკის საჭადრაკო კლუბში სტარტი აიღო თბილისის ვაჟთა 1973 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალმა. ბრძოლაში 118 მოჭადრაკე ჩაება, მათგან — 30 ოსტატობის კანდიდატი და 88 პირველთანრიგოსანი. მონაწილეთა შორის 12 ქალია: საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი თ. ხუგაშვილი, ოსტატობის კანდიდატები ლ. კოროშინაძე, ნ. ჩიქობავა და სხვ.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით (11 ტური) ჩატარდება. პირველ ათ ადგილზე გასული მოჭადრაკეები ჩემპიონატის ფინალში დაიშვებიან.

როცა გაზეთი ხელმოწერილი [illegible] იყო ... 19.45

◆ სომბორი, 8 დეკემბერი. იუგოსლავიის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირში I ადგილი დაიკავა 19 წლის საბჭოთა მოჭადრაკემ, ლვოველმა ოსტატმა ა. ბელიავსკიმ — 9,5 ქულა 14-დან. მან საერთაშორისო ოსტატის წოდების მიღების პირობები შეასრულა და ისეთი ცნობილი დიდოსტატები და ოსტატები ჩამოიტოვა, როგორიც არიან მატულოვიჩი, დამიანოვიჩი (ორივე — იუგოსლავია), ჩომი, ადორიანი (ორივე — უნგრეთი), ტიმანი (ჰოლანდია) და სხვ.

◆ ცხინვალი, 8 დეკემბერი. დღეს აქ დაიწყო მოკრივეთა I დია საკავშირო ტურნირი საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის ი. პლიევის თასზე. ეს ჯილდო საკავშირო სპორტკომიტეტმა და სსრ კავშირის კრივის ფედერაციამ დააწესეს. გმირის სამშობლოში საასპარეზოდ ჩამოვიდა ექვსი მოკავშირე რესპუბლიკის 90 მოკრივე. პირველი ორთაბრძოლებიდან აღსანიშნავია კალინინელი პირველთანრიგოსნის ვ. მარტინოვის (81 კგ) გამარჯვება სპორტის ოსტატ ვ. მალიუკთან (დნეპროპეტროვსკი). ტურნირი 10 დეკემბრამდე გასტანს.



„სამთა თათბირი“

ვ. გაბელაშვილის ფოტო.

## ახალი ჩემპიონი

თბილისში დამთავრდა რესპუბლიკის საჭადრაკო კლუბის II ჩემპიონატი, რომელშიც 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

მწვავე ბრძოლა ბოლო ტურამდე არ დამცხრალა. დასკვნითს დღეს ერთმანეთს შეხვდნენ კლუბის პირველი ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი ე. მიქაელიანი და ოსტატი ე. უბილავა. პარტია ყაიმით დამთავრდა და ჩემპიონის ტიტული უბილავამ (10 ქულა) მოიპოვა.

II ადგილი ხვდა ოსტატობის კანდიდატ გ. ბიბილაშვილს (გარდაბანი) — 9,5, III კი ოსტატობის კანდიდატ ზ. მიქაძეს (გუდაუთა) — 9.

შეჯიბრების დახურვაზე კლუბის დირექტორმა, საერთაშორისო არბიტრმა ლ. წეროძემ პრიზიორებს დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ზ. ფამილიანტი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი.

## „სოვეტ გიურჯისტანი“ 50 წლისაა

8 დეკემბერს საზეიმოდ აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანოს, გაზეთ „სოვეტ გიურჯისტანის“ 50 წლისთავი.

საბჭოთა სახელმწიფოს პირმშო, გაზეთი „სოვეტ გიურჯისტანი“ ნახევარი საუკუნის მანძილზე საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელ მოსახლეობას რაზმავდა საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვართა განმტკიცებისთვის, სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელებისთვის, ამიერკავკასიის სამი მოძმე ერის მეგობრობისა და მჭიდრო კავშირისთვის.

გაზეთ „სოვეტ გიურჯისტანის“ კოლექტივი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით პირნათლად ასრულებდა და ასრულებს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების პროპაგანდისტის, პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისთვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისთვის — კომუნიზმისთვის ბრძოლაში პარტიის მებრძოლი თანაშემწის საპატიო როლს.

ამიტომ იყო, რომ დიდად დაფასდა გაზეთის კოლექტივის შრომა და „სოვეტ გიურჯისტანი“ „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოვდა.

„ლელო“ მხურვალედ ულოცავს გაზეთ „სოვეტ გიურჯისტანის“ რედაქციას სახელოვან იუბილეს და უსურვებს დიდ შემოქმედებით წარმატებებს შემდგომ საქმიანობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ჩანმესულები ველში არ რჩებიან

საქართველოს კომკავშირის ჩოხატაურის რაიკომისა და ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თაოსნობით დაბის სტადიონზე მიმდინარეობს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. ღონისძიებაში მონაწილეობენ რაიონის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები.

სტადიონზე პირველად გამოვიდნენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, რაიკოოპერატივის, საზკვების, ჩაის № 3 ფაბრიკის, ავტოსატრანსპორტო საწარმოს, საგრენაჟო ქარხნისა და საცხენოსნო სპორტული კლუბის წარმომადგენლები. უმრავლესობამ შეჯიბრების ოთხ სახეობაში შეასრულა კომპლექსის მოთხოვნები.

დიდი ინტერესი გამოიწვია უფროსი ასაკის (40-60 წ.) კაცების შეჯიბრებამ V საფეხურის („მხნეობა და ჯანმრთელობა“) ნორმატივების ჩაბარებაში. სტარტზე გამოვიდნენ უ. რამიშვილი, გ. ჭიხვარია (საგრენაჟო ქარხანა), ი. რამიშვილი (კურორტი ბახმარო), ვ. ჩიგოგიძე (საზკვება), გ. სიხარულიძე (№ 3 ჩაის ფაბრიკა), ნ. ცინცაძე (ავტოსატრანსპორტო საწარმო). მათ კარგი ფიზიკური მომზადება გამოავლინეს.

ნორმატივების ჩაბარება გრძელდება.

**დ. ბურბენიძე.**
(ჩვენი კორ.).
ჩოხატაური.

## ჩემპიონები ემზადებიან

სამგზის მსოფლიო ჩემპიონები ყინულზე სპორტულ ცეკვებში, სპორტის დამსახურებული ოსტატები ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი ახალი სეზონის შეჯიბრებებისთვის ემზადებიან. ფიგურისტები მოსკოვის საციგურაო „კრისტალის“ ყინულზე ვარჯიშობენ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ე. ჩაიკოვსკაიას ხელმძღვანელობით.

მოსკოვში ამას წინათ დამთავრებული ღია ჩემპიონატის საჩვენებელ გამოსვლებში პახომოვამ და გორშკოვმა წარმოადგინეს ახალი საცეკვაო კომპოზიცია „ლუი არმსტრონგის ხსოვნას“. ესეც და ძველი ცეკვა „კუმპარიტაც“ მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს. უახლოესი შეჯიბრება, რომელშიც ფიგურისტები მიიღებენ მონაწილეობას, „მოსკოვის ციგურებია“.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ე. ჩაიკოვსკაია (მარჯვნივ), ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი.

ვ. ზუფაროვის ფოტო (საქდესი).



## საქართველოს პრობლემისტთა წარმატება

საჭადრაკო კომპოზიციის თავისებური ჟანრია ნადიშამათი, რომელსაც საბჭოთა ქვეყანაში ამ ბოლო დროს მეტი ყურადღება ექცევა. ამას წინათ ლვოვის ახალგაზრდულმა გაზეთმა „ლენინსკა მოლოდმა“ შეაჯამა ნადიშამათის ორსვლიანი ამოცანების შედგენის რესპუბლიკური კონკურსი, რომელზეც 73 ავტორის 113 ამოცანა იყო გაგზავნილი. სხვათა შორის, საკონკურსოდ ნამუშევრები გამოგზავნეს პოლონეთისა და მონგოლეთის პრობლემისტებმაც.

თავი ისახელეს საქართველოს საჭადრაკო კომპოზიტორებმა: მეორე პრიზი დაიმსახურა საერთაშორისო ოსტატ ი. კრიხელის (გორი) ამოცანამ, ხოლო მესამე საქები შეფასება მიიღო კომპოზიციის ამ დარგში ახალბედა შემდგენლის გ. კაკაბაძის (თბილისი) ნაწარმოებმა.

● ლენინგრადი, 6 დეკემბერი. აქ დამთავრდა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა სპორტსმენებმა — ისინი ათჯერ ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე და ეს ადგილი მხოლოდ ერთხელ დათმეს. აი, გამარჯვებულებიც (წონითი კატეგორიების მიხედვით): ს. დურიანი, ი. ფიოდოროვი, დ. ტოროსიანი, ზ. ზბიშევსკი (პოლონეთი), დ. ანისოვი, ს. კაზარიანი, ა. სკოროხოდოვი, ვ. გუმნიკოვი, ნ. ნოვიკოვი, ი. ბისტროვი, ვ. ალექსეევი. სათვალავით მესამე ამგვარმა შეჯიბრებამ სსრ კავშირის, ბულგარეთის, გდრ-ის, უნგრეთის, იტალიის, კუბის, პოლონეთისა და რუმინეთის 68 მოკრივე მოუყარა თავი.

● აშხაბადი, 6 დეკემბერი. ტრადიციული, რიგით მეხუთე მარათონული გარბენი გომელელმა სტუდენტმა, 23 წლის ვ. ბესარაბმა მოიგო — 42 კმ და 195 მ 2 საათში, 22 წუთსა და 43 წამში დაფარა. II ადგილი დაიკავა ჩებოქსარელმა ვ. ილინმა, რომელიც გამარჯვებულს 12 წამით ჩამორჩა. III ადგილზეა ლენინგრადელი გ. ვინიარი — 2:22.56. სპორტის ოსტატის ნორმატივი 17 მორბენალმა შეასრულა. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ლენინგრადელებმა. II ადგილი დაიკავა კიევის კოლექტივმა, III — ჩებოქსარის გუნდმა.

● მოგილიოვი, 6 დეკემბერი. მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა, ბულგარელი და უნგრელი ახალგაზრდა ოსტატები სამ დღეს ეცილებოდნენ ერთმანეთს ნორჩი ბელორუსიელი პარტიზანის ტანია კარპინსკაიას ხსოვნის პრიზებს. უფროსი, საშუალო და უმცროსი ასაკის გოგონათა შორის შესაბამისად გაიმარჯვეს ბუდაპეშტელმა გ. ივაშკომ, მინსკელმა ს. კაპლანმა და ბუდაპეშტელმა ჟ. ოლაგმა. ჭაბუკთა შორის პირველობდნენ კიეველი ვ. როდა, ბუდაპეშტელი ლ. ფრანკი და მინსკელი ი. მინკევიჩი. კარპინსკაიას მემორიალის გუნდური გარდამავალი პრიზი მოიხვეჭა ბუდაპეშტის კოლექტივმა, რომელიც შარშან მეორე იყო. ოქროს მედლები უნგრელთა მწვრთნელებს შარლოტა ლუკაჩსა და ლასლო ორმაისაც მიართვეს. კარპინსკაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ეს შეჯიბრება 1969 წლიდან ტარდება. დიდი სამამულო ომის დროს ტანია უშიშარი პარტიზანი, მზვერავი იყო. იგი ბეჭდავდა და ავრცელებდა ფურცლებს, აგროვებდა ცნობებს სახალხო შურისმაძიებლებისთვის, პარტიზანებს საომარი საჭურვლის გადატანაში ეხმარებოდა. 1943 წლის გაზაფხულზე ნორჩი პატრიოტი ფაშისტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს.



# ერთ ქარხანაში...

სამუშაოს დამთავრების შემდეგ მანქანათმშენებელი ქარხნის მრავალრიცხოვანი ჯგუფები მიემართებიან სინათლით გაჩირაღდნებულ სტადიონზე, რომელიც იქვე გვერდით მდებარეობს. ჩვენც იქით მივდივართ ქარხნის სპორტკლუბ „მეტეორის“ თავმჯდომარე ა. გაიდუკთან ერთად.

— 852 კაცმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ყველა ნორმატივი, — ამბობს გაიდუკი, — მაგრამ სტადიონის გზა არც ერთს არ დავიწყნია. ბევრი ოჯახით მოდის. მათს სამსახურშია არა მარტო საუცხოო სპორტული ბაზა, არამედ სპეციალურად მოწყობილი საკონსულტაციო პუნქტიც, სადაც მწვრთნელები და ექიმები მორიგეობენ.

ბოლო ხანს „მეტეორის“ 36 სექციაში ახალბედათა მატება იგრძნობა. ფართოვდება ბავშვთა და მოზარდთა ჯგუფები ბადმინტონში, ტანვარჯიშში, ცურვაში, მძლეოსნობასა და ფეხბურთში. ჯანმრთელობის ჯგუფის „პირადი შემადგენლობა“ ათასს უახლოვდება.

ამჟამად საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა თითქმის სამი მეოთხედი ფიზკულტურასა და სპორტშია ჩაბმული. ქარხნის სოციოლოგებისა და ეკონომისტების გამოკვლევებით დადგინდა, რომ სპორტი ხელს უწყობს შრომისნაყოფიერების ზრდას. საუკეთესო ფიზკულტურელები, მშდ კომპლექსის ოქროს სამკერდე ნიშნის პირველი მფლობელები, როგორც წესი, საწარმოს მოწინავენი, ნოვატორები, აქტიური საზოგადო მოღვაწენი არიან. საპარაშუტო სპორტის ოსტატი, 35 წლის ა. ეროშკინი სათავეში უდგას ერთ-ერთ საუკეთესო ზეინკალთა ბრიგადას, თვითონ იგი კომუნისტური შრომის დამკვრელია.

— მშდ. კომპლექსის შემოღებამ საგრძნობლად აამაღლა ინტერესი ფიზკულტურასა და სპორტისადმი, — განაგრძობს საუბარს სპორტკლუბის თავმჯდომარე. — ყველა საამქროში და უბანზე ტარდება საუბრები ახალ კომპლექსზე, ეწყობა შეხვედრები ძველი თაობის სპორტსმენებთან, დღევანდელ ჩემპიონებთან და რეკორდსმენებთან. მშდ კომპლექსის კარგი პროპაგანდისტები აღმოჩნდნენ ბადმინტონისტები — სსრ კავშირის ჩემპიონები და თასის მფლობელნი, მსროლელები — საკავშირო პროფსაბჭოს სპარტაკიადაში გამარჯვებულნი, ტანმოვარჯიშეები, მძლეოსნები, ძალოსნები. აქტიურად მუშაობს პარტიული კომიტეტის, ქარხნის ადმინისტრაციისა და სპორტკლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით შექმნილი მშდ-ს კომისია.

კომისიის წევრები დიდ ყურადღებას აქცევენ სპორტული ბაზის, მსაჯთა და მწვრთნელთა ბრიგადების მზადყოფნას. ყველა საწარმოო უბანზე, საერთო საცხოვრებელში გამოკრულია ცხრილები, სადაც აღნიშნულია თუ როგორ მიმდინარეობს ნორმატივების ჩაბარება. მშდ კომპლექსის ნიშნოსნები გახდნენ საამქროების, სამსახურებისა და განყოფილებების უფროსები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები. გრაფიკის ზუსტი დაცვით ამჟამად ნორმატივების ჩაბარებას დაახლოებით 4 ათასი კაცი ამთავრებს. ამდენივე ადამიანი რეგულარულად მეცადინეობს სპორტულ დარბაზში, მძლეოსნურ მანეჟში, საცურაო აუზში. ისინი გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით ემზადებიან სტარტებისთვის. ყველა მიხვდა, რომ ჭაიჭარად მშდ კომპლექსის ნორმატივებს კაცი ვერ მოერევა. ეს არც არავისთვისაა საჭირო. მთავარი ნიშნოსანთა რაოდენობა კი არ არის, არამედ მუშებისა და მოსამსახურეების ფიზიკური სრულყოფისთვის ყოველდღიური ზრუნვა.

**გ. ცურკანოვი.**
დნეპროპეტროვსკი.

# ტაშკენტშიც არიან ფიგურისტები

თოციგურავე მუსლიმ სატაროვმა სპორტდარბაზ „იუბილეინის“ ყინულზე თავისი პირველი საპატიო წრე შეასრულა. როცა მიულოცეს, სპორტსმენმა მორიდებულად შენიშნა:

— ბედმა გამიღიმა, შემთხვევის წყალობით!

მართლაც, მოხდა ისე, რომ ტაშკენტის ფიგურული ციგურაობის სკოლის დაბადების დღე მუსლიმის დაბადების დღეს დაემთხვა. ხომ შეიძლება მის ადგილზე სკოლის 200 აღსაზრდელიდან ნებისმიერი სხვა მოწაფე ყოფილიყო...

— ჩვენც სწორედ შემთხვევითი არჩევანი გვჭირდებოდა, — ამბობს სკოლის დირექტორი გ. ჟორჟოლაძე.

დილით საზეიმო ხაზის წინ, რომელიც სკოლის პირველ წლისთავს ეძღვნებოდა, მშობელთა კრება მწვრთნელებთან ერთად უყურებდა საჩვენებელ პროგრამას.

— ეს პროგრამა მართლაც „საჩვენებელია“, — თქვა ერთმა დედამ. — უნდა შევამოწმოთ, რა მისცა სკოლამ ჩვენს შვილებს.

— კეთილი და პატიოსანი. გამოვიდეს დამატებით ნებისმიერი მოციგურავე, — უპასუხა დირექტორმა. — ვისი დაბადების დღეა დღეს?

მუსლიმს სწორედ იმ დღეს შვიდი წელი შეუსრულდა, ყინულზე გამოვიდა და ტაშიც დაიმსახურა. ეს ტაში მასაც ეკუთვნოდა და სკოლასაც, რომელიც მზად იყო გამოცდისთვის თავის ყველა აღსაზრდელთან ერთად.

მერე საჩვენებელი პროგრამა დაიწყო. მარინა კუშნარიოვამ, რენატ საბიტოვმა, ნატაშა ლუზანმა, სხვა ბიჭებმა და გოგონებმა კვლავ დაამტკიცეს, რომ ტყუილად არ მიუღიათ თანრიგოსანთა პირველი ნიშნები.

... თურმე სულ ცოტა დროა საჭირო იმისთვის, რომ სამხრეთის ქალაქში, სადაც იანვარშიც კი მუდამ როდი ნახავ ქუჩებში თოვლს, პატარებმა იგრძნონ ციგურებით სრიალის მშვენება, ისწავლონ ყინულზე ცეკვა; სულ ცოტა დროა საჭირო... რასაკვირველია, თუ ამ დროს საკუთარ თავს დაუთმობს მთლიანად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, რამდენიმე უფროსი.

ამისთვის ჩამოვიდა ციმბირის ქალაქ ომსკიდან ტაშკენტში ა. ტრუშნოვი — სკოლის უფროსი მწვრთნელი. ტრუშნოვი, მისი თანაქალაქელი ა. კოპიტოვი, ყარაგანდელი ო. შინი, ალმაათელები ვ. ცაი და ი. ხვანი, ტაშკენტელი ქორეოგრაფები ნ. კოზინჩენკო და ტ. კასიმოვი მეცადინეობებს ატარებენ ოც ჯგუფში, ეცნობიან ახალბედებს, სემინარებს ატარებენ ფიგურული ციგურაობის მსაჯებთან, რომლებიც უმთავრესად მშობელთა რაზმის წარმომადგენლები არიან.

ამას გარდა, ტრუშნოვი ნაკრებ გუნდთანაც მუშაობს. შარშან ტაშკენტელებმა დააწესეს გარდამავალი პრიზი — „აღმოსავლეთის ჭაბუკი მოციგურავე“. იცოდნენ, რომ პრიზს სხვა ქალაქში წაიღებდნენ. ასეც მოხდა: ტურნირზე ჩამოვიდნენ ვორონეჟელები, ომსკელები, ტიუმენელები, და თასი დონის ნაპირზე გაემგზავრა.

— არა უშავს, იმოგზაუროს „აღმოსავლეთის ჭაბუკმა მოციგურავემ“, შეიძინოს გამოცდილება, — თქვა უფროსმა მწვრთნელმა. — მაგრამ იგი აუცილებლად უნდა დაბრუნდეს ტაშკენტში.

მართლაც, პატარა ტაშკენტელებმა მალე იზეიმეს თავიანთი პირველი გამარჯვება: მატჩი მოუგეს თავიანთი უფროსი მწვრთნელის ყოფილ თანაქალაქელებს — ომსკელებს. უკვე გაგზავნეს გამოწვევა ვორონეჟში, თბილისში, ალმა-ათაში, ტიუმენში — ახალი ტურნირებისთვის...

**ე. ტაუბენშლაგი.**
ტაშკენტი.

# ელექტროგამომთვლელი მანქანა... სპორტდარბაზში

რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მწვრთნელები, რომლებიც ახალბედა ტანმოვარჯიშეებს წვრთნიან, ფართოდ იყენებენ ელექტრო-გამომთვლელი მანქანის... რეკომენდაციებს. შეიძლება ადამიანის მოძრაობათა აღწერა დიფერენციალური განტოლებებით და მოდელირება მათემატიკური მეთოდებით. ეს დაამტკიცა პროგრამამ, რომელიც ინსტიტუტში დამუშავდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის დოცენტის ვ. ნაზაროვის ხელმძღვანელობით. პროგრამის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ გამომთვლელ მანქანას შეუძლია გააანალიზოს ვარჯიშების ელემენტები და ზუსტი გამოთვლების საფუძველზე მოგვცეს ყველაზე რაციონალური და დახვეწილი ვარიანტები. ასეთი გზით გეგმავენ ახალ ხერხებს, რომელთაც სტუდენტები ეუფლებიან პრინციპით: მარტივიდან რთულისკენ. ეს არა მარტო აჩქარებს საჭირო ილეთის შესწავლას, არამედ შესრულების დონესაც ამაღლებს.

მანქანა ციფრებისა და გრაფიკების მშრალი ენით „მეტყველებს“. იმ მიზნით, რომ მისი მითითებები ყველასთვის გასაგები გახდეს, ქმნიან მულტიპლიკაციურ ფილმებს. თუმცა, ახლა ეძებენ ელექტრულ ავტომატთან სპორტსმენის ურთიერთობის უფრო ოპერატიულ ხერხებს. რიგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ამაში ეხმარებიან რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლები. დამზადებულია მოწყობილობა, რომელიც ეგმ-ს უერთდება და მათემატიკურ სიმბოლოებს ტელევიზორის ეკრანებზე „ცოცხალ“ ნახატებად გარდაქმნის.

სამეცნიერო ლაბორატორიის თანამშრომლები, რომლებთანაც იშვა და იხვეწება მოძრაობათა მოდელირების მეთოდიკა, მისი საზღვრების გაფართოებას ვარაუდობენ. მხედველობაში აქვთ, რომ სწავლების ამ პროგრამას გამოიყენებენ არა მარტო ტანვარჯიშში, არამედ სპორტის სხვა სახეობებშიც.

**ს. შპუნგინი.**
რიგა.

# რას მოგვიტანს ახალი სეზონი?

თბილისის „ბურევესტნიკმა“ კიდევ 2 ქულით წაიწია წინ სატურნირო მარათონის რთულ დისტანციაზე: 6 და 7 დეკემბერს მან დაამარცხა აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის კალათბურთელები და ახლა 3 ქულით გათამაშების ლიდერთა ჯგუფშია (ეს გუნდები ხელმეორედ 14-15 მაისს შეხვდებიან ერთმანეთს ბაქოში).

პირველ მატჩში მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო. თბილისელებმა, რომლებიც მეტოქეებს საკალათბურთო ხელოვნების ყველა პუნქტში სჯობდნენ, შეხვედრის ბედი, ფაქტიურად, პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს — 56:41. შესვენების შემდეგ ინიციატივა მთლიანად ბურევესტნიკელთა მხარეს გადავიდა და ბრძოლაც მათი დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა — 119:86.

სტუმრებმა გაცილებით უკეთ ჩაატარეს მეორე მატჩი. შესვენებამდე ბურევესტნიკელთა უპირატესობა მხოლოდ 6 ქულით გამოიხატა, მეორე ნახევრის მე-10 წუთისთვის კი მეტოქეებს ერთმანეთისგან მხოლოდ 2 ქულა ჰყოფდათ. მაგრამ მეტი ბაქოს გუნდმა ვეღარ შეძლო. დარჩენილ დროში „ბურევესტნიკმა“ კვლავ დაიბრუნა ინიციატივა და გაიმარჯვა — 105:88.

მატჩის შემდეგ „ლელოს“ კორესპონდენტმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა თბილისის კალათბურთელთა ახალ მწვრთნელს ი. მირიანაშვილს:

● ჩვენთვის ცნობილია, რომ გუნდის შემადგენლობაში არსებითი ცვლილებები მოხდა: შეიცვალა მისი ძირითადი ბირთვი, შეიცვალა ხელმძღვანელობა. რა აზრისა ხართ კოლექტივზე, რომელიც ახლა უკვე თქვენს გამგებლობაში გადმოვიდა?

— „ბურევესტნიკის“ განახლების საკითხი ცოტა გვიან გადაწყდა. ამიტომაც მე, როგორც უფროსი მწვრთნელი, და ჩემი თანაშემწე — მოთამაშე-მწვრთნელი ბ. ბოლქვაძე მთელი რიგი სირთულეების წინაშე აღმოვჩნდით. მთავარი სიძნელე ის გახლავთ, რომ გუნდს მეტად მძიმე ფიზიკური დატვირთვა მოელის (სეზონის მანძილზე 52 მატჩი) და რამდენადაა იგი მზად ამ დატვირთვის გადასატანად, ჯერ არ ვიცით. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პირველ ჯგუფში თამაში გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე უმაღლეს ლიგაში: ყოველ მეტოქეს ოთხჯერ ვხვდებით და ტურნირიც, ამის გამო, თითქმის ნახევარ წელიწადს გრძელდება. თამაში ჩვენმა ბიჭებმა იციან, ტექნიკურად არც ისე ცუდად არიან მომზადებული, ყოველ შემთხვევაში, პირველი შთაბეჭდილება ურიგო არ არის. რაც შეეხება ფიზიკურ მომზადებას, ვშიშობ, სადღაც, მარათონული დისტანციის მიწურულს, ძალებმა არ გვიმტყუნოს. ამიტომ თავისუფალ დროს, ასეთი დრო კი სულ მალე, იანვარში გვექნება, ფიზიკური მომზადების შემდგომ სრულყოფას მოვახმართ.

● რა ცვლილებები მოხდა შემადგენლობაში?

— ჩვენს კოლექტივს „დინამოდან“ შემოემატნენ ბ. ბოლქვაძე, დ. მაღალთაძე, ნ. ჭეიშვილი, ვ. ქუთათელაძე, შ. იაქაშვილი, ს. მაღალაშვილი. გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდებიც — გ. კილასონია, ნ. ფიცხელაური, თ. მაგრაქველიძე... ყველას ჩამოთვლას აქ არ შევუდგები, მაგრამ გულახდილად გეტყვით: ახალგაზრდების იმედი გვაქვს და გვჯერა, რომ გამოცდილ კალათბურთელებთან ერთად ისინი კოლექტივს სარგებლობას მოუტანენ.

● ვიცით რა ძნელია თქვენთვის პერსპექტივაზე ლაპარაკი და მაინც, ერთ შეკითხვაზე პასუხი უნდა გაგვცეთ: როგორია გუნდის უახლოესი გეგმები?

— შექმნილი ვითარების გამო ტურნირი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოულოდნელად მოგვადგა კარს. ჩვენი ვარჯიში, ფაქტიურად, ყოველი კალენდარული მატჩია. ამიტომ, რაც დრო გადის, გეგმები მეტნაკლებად გვეცვლება. მაგრამ ერთი რამ მტკიცედ მწამს: ამ გუნდს აქვს მომავალი და ჩვენც ვიბრძოლებთ, რომ ქართული კალათბურთის კარგი ტრადიციები დავიბრუნოთ. ცუდად ნუ გაგვიგებთ, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენი მთავარი ამოცანაა შევინარჩუნოთ ადგილი I ჯგუფში.

● დაბოლოს, ერთი შეკითხვაც: რას ფიქრობენ თვითონ მოთამაშეები? ნუ დაგავიწყდებათ, რომ ერთია თქვენი, როგორც მწვრთნელის, რწმენა, სულ ხხვაა კალათბურთელთა სულიერი მდგომარეობა, მათი ენთუზიაზმი და მონდომება.

— ამ შეკითხვას, ჩემი აზრით, თქვენ თვითონ გაეცით პასუხი. ჩვენი — მწვრთნელების ენთუზიაზმი სწორედ მოთამაშეთა მორალური მდგომარეობის გამოვლინებაა. გუნდს სწამს თავისი ძალისა და რა უფლება გვაქვს არ დავეთანხმოთ ამას. „ბურევესტნიკი“ ამჟამად ჩამოყალიბების პროცესშია და, რაც უფრო მალე დამთავრდება ეს პროცესი, მით უფრო ჩქარა მივიღებთ პასუხს მთავარ შეკითხვაზე: რას მოგვიტანს ახალი სეზონი?

თბილისის კალათბურთელებს სამი პასუხსაგები მატჩი აქვთ მეტოქის მინდორზე. ისინი ჯერ ტაგანროგში გაემგზავრებიან, მერე კრასნოდარსა და დონეცკში. 28 დეკემბერს ჩვენები უკვე თბილისში უმასპინძლებენ მორიგ მეტოქეს — ერევნის გუნდს.

კალათბურთი

# 1973 წელი იწყება... წლეულს

მომავალი წლის სპორტულ სეზონს სსრ კავშირში ტრადიციულად ყველაზე ადრე კალათბურთელები იწყებენ. ამას წინათ სტარტი მიეცა „ა“ კლასის I ჯგუფის კალათბურთელ ვაჟთა პირველობას, დეკემბრის შუა რიცხვებში კი სარბიელზე გამოვლენ უმაღლესი ლიგის გუნდები, რომლებიც ფინიშის ხაზს მხოლოდ 1 აპრილს გადაკვეთენ.

უმაღლესი ლიგის გუნდების ჩემპიონატში ამჯერადაც 10 კოლექტივი მიიღებს მონაწილეობას. 13 დეკემბერს კაუნასში და 15 დეკემბერს თბილისში ჩატარდება ტურნირის პირველი წრის მატჩები. კაუნასში იასპარეზებენ „სპარტაკი“ (ლენინგრადი), „ჟალგირისი“ (კაუნასი), „სტროიტელი“ და ასკ (ორივე — კიევი), აგრეთვე, უმაღლესი ლიგის დებიუტანტი — ვოროშილოვგრადის „სპარტაკი“. თბილისის ტურში იბრძოლებენ ცსკა (მოსკოვი), „კალევი“ (ტარტუ), უმაღლეს ლიგაში ხელახლა დაბრუნებული რტი (მინსკი) და მოსკოვისა და თბილისის დინამოელები.

გთავაზობთ პირველი წრის კაუნასისა და თბილისის ტურების კალენდარს.

**კაუნასის ტური.** 13 დეკემბერი. ასკ (კიევი) — „სპარტაკი“ (ვოროშილოვგრადი), „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „სტროიტელი“ (კიევი), 14 დეკემბერი. „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — ასკ, „სპარტაკი“ (ვოროშილოვგრადი) — „ჟალგირისი“, 15 დეკემბერი. „სტროიტელი“ — „სპარტაკი“ (ვოროშილოვგრადი), „ჟალგირისი“ — „სპარტაკი“, (ლენინგრადი), 16 დეკემბერი. „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „სტროიტელი“, ასკ — „ჟალგირისი“, 17 დეკემბერი. „სპარტაკი“ (ვოროშილოვგრადი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი), „სტროიტელი“ — ასკ.

**თბილისის ტური.** 15 დეკემბერი. რტი (მინსკი) — ცსკა (მოსკოვი), „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი), 16 დეკემბერი. რტი — „კალევი“ (ტარტუ), ცსკა — „დინამო“ (თბილისი), 17 დეკემბერი. „დინამო“ (მოსკოვი) — რტი, „კალევი“ — ცსკა, 18 დეკემბერი. ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი) — „კალევი“, 19 დეკემბერი. „კალევი“ — „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი) — რტი. მატჩები, რომლებიც თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება, დაიწყება 18 საათსა და 30 წუთზე.

1973 წლის საკალათბურთო სეზონი ერთობ გადატვირთული იქნება როგორც საკლუბო გუნდებისთვის, ისე ნაკრებისთვის. სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრისა და ტურნირის გარდა საუკეთესო საბჭოთა გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ევროპის კლუბების ტურნირებში. სსრ კავშირის ჩემპიონი ცსკა, როგორც უკვე იცით, ასპარეზობს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. ამ ტურნირში მან უკვე ორი შეხვედრა მოიგო შვეიცარიის „სტად ფრანსესთან“ საერთო ანგარიშით 242:172 და მეოთხედფინალში თამაშის უფლება მიიღო. მეორე კოლექტივი — ლენინგრადის „სპარტაკი“ თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამოდის. 6 დეკემბერს იგი შვეციაში შეხვდა „სოლნას“ და გაიმარჯვა — 115:67. ლენინგრადელებმა ლამაზი თამაშით დიდი სიამოვნება მიანიჭეს შვედ სპორტის მოყვარულებს, რომელთაც განსაკუთრებით მოეწონათ ოლიმპიური ჩემპიონი ა. ბელოვი და ფიოდოროვი. ამ უკანასკნელმა გუნდს 27 ქულა შესძინა.

ამ გუნდების განმეორებითი მატჩი ხვალ მოეწყობა ლენინგრადში.

სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპარეზობა ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი იქნება. იგი სექტემბერში გაიმართება, ესპანეთის რომელიმე ქალაქში.

ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი

შედგა რესპუბლიკის ზონალური პირველობის ბოლო მატჩები: „ლიახვი“ (გორის რაიონი) — „ყინწვისი“ (ქარელი) 3:2, კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველო“ (ოჩამჩირე) — „ფეიქარი“ (ქუთაისი) 3:3, „ყინწვისი“ (ქარელი) — „ავტომობილისტი“ (ჩაქვი) 1:0.

„ყინწვისს“ მოგება ჩაეთვალა კოჩარის კოლმეურნეობასთან, „ავტომობილისტს“—გარდაბნის „რუბეროიდთან“ და „რუბეროიდს“ — „ლიახვთან“.

ზონალური ფინალური ტურნირის საბოლოო ცხრილი ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფეიქარი“ (ქუთაისი) | 12 | 7 | 3 | 2 | 17—11 | 17 |
| „ყინწვისი“ (ქარელი) | 12 | 8 | 1 | 3 | 20—16 | 17 |
| „ავტომობილისტი“ (ჩაქვი) | 12 | 8 | 0 | 4 | 25—13 | 16 |
| „რუბეროიდი“ (გარდაბანი) | 12 | 7 | 0 | 5 | 18—14 | 14 |
| „ლიახვი“ (გორის რაიონი) | 12 | 6 | 2 | 4 | 14—17 | 14 |
| კოჩარის კოლმეურნეობა (ოჩამჩირე) | 12 | 1 | 1 | 10 | 12—24 | 4 |
| ერედვის საბჭოთა მეურნეობა (ცხინვალი) | 12 | 1 | 0 | 11 | 8—19 | 2 |

ამრიგად, ქუთაისის „ფეიქარი“ და ქარელის „ყინწვისი“ გაისად II ჯგუფში ითამაშებენ.

## საბჭოთა გუნდები უცხოეთში

### თბილისის „დინამოს“ გამარჯვება

**სინგაპური, 7 დეკემბერი.** აქ სტუმრად ჩამოვიდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელსაც ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჰქონდა სინგაპურის მეორე ნაკრებთან.

თბილისელებმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს — 6:0. მასპინძელთა კარში 4 ბურთი გაიტანა რეხვიაშვილმა, ხოლო თითო გოლი — ძმებმა ნოდიებმა.

**ლაგოსი, 7 დეკემბერი.** აქ საერთაშორისო ტურნეს ატარებს ალმა-ათის „ყაირათი“. ალმაათელები შეხვდნენ ნიგერიის ნაკრებს და გაიმარჯვეს — 3:1.

„ყაირათი“ აფრიკის ამ რესპუბლიკაში კიდევ ორ მატჩს გამართავს.

## რამდენიმე სტრიქონით

**ცხინვალი**

ფეხბურთელთა საქალაქო თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ბურევესტნიკისა“ და „სპარტაკის“ გუნდები. გამარჯვებულის გამოვლენას დაჭირდა 11-მეტრიანი დარტყმების სერია. ბურევესტნიკელებმა უკეთ გამოიყენეს იგი, გაიმარჯვეს (4:3) და თასსაც დაეუფლნენ.

• • •

აქ სტუმრად იყვნენ თბილისის განათლების განყოფილების ფრენბურთელთა გუნდები. თბილისელმა ჭაბუკებმა ორივე შეხვედრა მოიგეს — 3:2 და 3:1. გოგონათა ერთი მატჩი სტუმრებმა მოიგეს (3:0), ერთიც — მასპინძლებმა (3:2).

ვ. მელქოევი.

რამდენიმე სტრიქონით

## ჰოკეი ეკრანზე

დოკუმენტური ფილმების ცენტრალურ სტუდიაში რეჟისორ მ. რიჩკოვის, ოპერატორების ი. ლეონგარდტის, ლ. მაქსიმოვისა და ლ. მიხაილოვის ჯგუფმა დაამთავრა მუშაობა ფილმზე „ჰოკეი ჰოკეის წინააღმდეგ“.

ახალი ფილმი ასახავს სსრ კავშირის ნაკრების შეხვედრებს კანადელ პროფესიონალებთან. იგი მოგვითხრობს საბჭოთა ჰოკეის სკოლის თავისებურებებზე და უძლიერეს კანადელ პროფესიონალთა დამახასიათებელ თვისებებზე.

სპორტის მოყვარულები უდავოდ დიდი ინტერესით ნახავენ ახალ ფილმს.

გ. რატომსკაია.
(ჩვენი კორ.).

მოსკოვი.

• • •

**სურათებზე:** კადრები ფილმიდან „ჰოკეი ჰოკეის წინააღმდეგ“ — თამაშის მომენტი; ფ. ესპოზიტო.





## სპორტსმენები კინომუშაკებთან

საინტერესო შეხვედრა გაიმართა ამას წინათ თბილისის კინოს სახლში — საქართველოს საუკეთესო სპორტსმენთა ერთ ჯგუფს რესპუბლიკის კინემატოგრაფიის მუშაკები მასპინძლობდნენ.

სტუმართა შორის იყვნენ XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები—სპორტის დამსახურებული ოსტატები, მძლეოსანი ვ. სანეევი და კალათბურთელი ზ. საკანდელიძე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ძიუდოისტი გ. გოგოლაური, აგრეთვე, წარსულში შესანიშნავი ქართველი ფეხბურთელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე.

სპორტსმენებს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კინორეჟისორი ნ. სანიშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კინორეჟისორი-მულტიპლიკატორი ვ. ბახტაძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კინომსახიობი ლ. აბაშიძე და რესპუბლიკის სპორტის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ნარიმანიძე.

საინტერესო იყო ბ. პაიჭაძის, ვ. სანეევისა და გ. გოგოლაურის გამოსვლები, რომლებმაც ბევრი საგულისხმო რამ უამბეს შეკრებილთ.

შეხვედრის დასასრულს ნაჩვენები იქნა კინოფილმები.

ო. ჭელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვეწერილვათ სპორტულ გაზეთებს

## ორგან ელოდნენ

ფიშერს მოუთმენლად ელოდნენ ორგან — ნიუ იორკსა და სკოპლეში. ნიუ იორკის მერი ჯონ ლინდსეი დეპეშას დეპეშაზე გზავნიდა და იტყობინებოდა, რომ ფიშერის პატივსაცემად საზეიმო შეხვედრა მზადდებოდა. ფიშერმა საპასუხო დეპეშით მერს მადლობა გადაუხადა და... შეხვედრის პროგრამის გაგება მოისურვა. სკოპლედან სწერდნენ, რომ ფიშერისთვის სპეციალური საჭადრაკო გარნიტური დაამზადეს. საპასუხო დეპეშით ფიშერმა მოითხოვა, გარნიტური რეიკიავიკში გამომიგზავნეთო.

ამასობაში ფიშერი რეიკიავიკში ყოველ საღამოს დადიოდა საცეკვაო მოედნებზე ერთი და იგივე პარტნიორის — 17 წლის ისლანდიელი ქალიშვილის ინგა ტორნსტაინსდოტირის თანხლებით.

„იქნებ ღმერთმა ინება, რომ ისლანდიელ ქალიშვილზე იქორწინოთ და სამუდამოდ ჩვენს ქვეყანაში დარჩეთ?“ — ჰკითხეს მას მასპინძლებმა.

„ისლანდიელი ქალიშვილები მეტისმეტად ლამაზები არიან. თქვენი ქვეყანაც სულ უფრო და უფრო მომწონს. აქ სიწყნარეა, არ არიან მომაბეზრებელი რეპორტიორები. თქვენს ძროხებს კარგი რძე აქვთ, მაგრამ ძალიან ცივა. გარდა ამისა, ქორწინება მეტად სერიოზული ნაბიჯია“.

საერთოდ ფიშერმა აშკარად გააუმჯობესა ისლანდიელებთან დამოკიდებულება, რაც მანამდე ფრიად დაძაბული იყო. იგი შვიდი წლის გოგონა ასტრიდსაც შეურიგდა, რომელიც ასე აჯავრებდა შაქარყინულის წუწნით. ფიშერი დათანხმდა გაერჩია ასტრიდის საჭადრაკო პარტიები, თუმცა დიდი აღტაცება არ გამოუხატავს. „ძალიან ავანტიურისტულად თამაშობ, ასტრიდ, — შენიშნა მან. — ასეთი სტილით მხოლოდ ქალებისა და „პიუონი“ კაცების დამარცხება შეიძლება. ეს ჭადრაკია და არა კოვბოების ბრძოლა ინდიელებთან“.

## დეპეშები, დეპეშები...

სასტუმრო „ლოფტლეიდერში“ მატჩის შემდეგ ყოველდღიურად ასობით წერილი და დეპეშა მოდიოდა. წიგნის გამომცემლები, კინოპროდიუსერები, სარეკლამო ფირმები ფიშერს მეტისმეტად ხელსაყრელ პირობებს სთავაზობდნენ.

„ბობის უკვე შესთავაზეს, სულ ცოტა, 10 მილიონი დოლარი, მაგრამ ჭიუტობს და არ სურს რაიმეს მოაწეროს ხელი“, — შეშფოთებით განაცხადა ფიშერის ადვოკატმა პოლ მარშალმა. თვით ფიშერმა კი ჟურნალ „ლაიფის“ კორესპონდენტ ბ. დორაჰთან საუბარში ასე ახსნა თავისი პოზიცია ამ საკითხში: „ფული ძალიან მიყვარს, მაგრამ ვერ ვიტან, როცა ვიღაცა ვიგინდარები ჩემით ხელს ითბობენ... მინდა მივაღწიო, რომ მთელი მსოფლიო ჭადრაკს სათანადო პატივისცემით ექცეოდეს. ჭადრაკის ოსტატები ყველაზე უკეთეს პირობებში უნდა თამაშობდნენ, მათი ხელოვნება ისევე კარგად უნდა იყოს ანაზღაურებული, როგორც ყველაზე გამოჩენილი სპორტსმენებისა. რამდენიც უნდა მოითხოვოს მუჰამედ ალიმ თავისი შემდეგი მატჩისთვის, მე კიდევ მეტს მოვითხოვ“.

## ახლა მეტად ვფასობ

თავდაპირველად ფიშერმა 100 ათასი დოლარი მოითხოვა სკოპლეს ოლიმპიადაში ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის შემადგენლობაში თამაშისთვის. მაგრამ მაშინაც კი, როცა აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციის დირექტორი-განმკარგულებელი ე. ედმონდსონი დათანხმდა, ფიშერი არ ჩქარობდა იუგოსლავიაში გამგზავრებას, თქვა, ფრენას ვერ ვიტანო. როგორც ფიშერმა აღნიშნა მატჩის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე, ერთ-ერთ გაზეთში წაუკითხავს, რომ ბოროტმზრახველთა ბანდა აპირებდა მის დატყვევებას ჰაერში და შემდეგ გამოსასყიდის მოთხოვნას. „ამიტომაც მოვითხოვდი, რომ პოლიციელთა დაცვა მყოლოდა“.

— ახლაც გეშინიათ ჰაიდჟეკერობისა? — ჰკითხა ჟურნალისტმა.

— ახლა ხომ მეტად ვფასობ! — იყო პასუხი.

## გულშემატკივრები ერთმანეთს დაერივნენ

დიდძალი მაყურებელი მიიზიდა თავისებურმა მატჩმა იუგოსლავიის ქალაქ გრდელიცაში: ერთმანეთს შეხვდნენ სპასკისა და ფიშერის... გულშემატკივრები.

ანგარიშით 6:5 გაიმარჯვეს ფიშერის გულშემატკივრებმა. ამასთან, გამოცხადდა, რომ დავა ამით არ დამთავრებულა და გულშემატკივრები შემდეგშიც შეხვდებიან ერთმანეთს.

ასეთივე მატჩი, ოღონდ უკვე 25 დაფაზე, იუგოსლავიის ქალაქ კიკინდშიც გაიმართა. ამჯერად შეხვედრაში ქალაქის უძლიერესი მოჭადრაკეები, ოსტატობის კანდიდატები და პირველთანრიგოსნები მონაწილეობდნენ. ანგარიშით 14,5:10,5 გაიმარჯვეს ფიშერის გულშემატკივრებმა.

## კაჟიჩი ეკითხება

მატჩის შემდეგ ფიშერს ცნობილი იუგოსლავიელი მიმომხილველი ბ. კაჟიჩი ეწვია.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ მატჩი მძიმე იყო? მისი შედეგი პროფესორ არპაიდ ელოს გამომთვლელი მანქანის პროგნოზს დაემთხვა. ეს პროგნოზი კი შეხვედრის დაწყებამდე იყო ცნობილი.

— მატჩი მართლაც მძიმე იყო, — უპასუხა ფიშერმა. ამასთან, მან განაცხადა, რომ ვერაფერს იტყოდა ვერც მსოფლიო პირველობაზე, ვერც ახალი მატჩისა და ვერც მსოფლიო პირველობის გათამაშების სისტემაში მოსალოდნელი რაიმე ცვლილების შესახებ.

## 50 ათასი გირვანქა სტერლინგი და... 50 დოლარი

რათა სპასკი — ფიშერის მატჩის ხარჯები დაეფარა, ისლანდიის ჭადრაკის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ სიამოვნებით მიიღებდა შეწირულ ფულს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

როგორც ცნობილია, ამ მხრივ ორგანიზატორებს ყველაზე მეტად ინგლისელი ბანკირი სლეიტერი დაეხმარა, რომელმაც ისლანდიელებს 50 ათასი გირვანქა სტერლინგი გაუგზავნა. მაგრამ იყვნენ სხვა უანგარო გულშემატკივრებიც, რომლებიც ისლანდიელებს დაეხმარნენ, რითაც შეეძლოთ. მაგალითად, რომელიღაც ეთიოპიელმა გულშემატკივარმა, რომელმაც გვარი არ გაამხილა, 50 დოლარი გაგზავნა. ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტები წერდნენ, რომ შეიძლება იმ ანონიმური გულშემატკივრისთვის 50 დოლარი უფრო მეტი ფულია, ვიდრე სლეიტერისთვის 50 ათასი გირვანქა სტერლინგი.

## რათა ცხოვრება ჭადრაკს შევწირო!

ისლანდიელ ჟურნალისტებთან საუბარში ფიშერმა განაცხადა, რომ დიდხანს, ძალიან დიდხანს აპირებს მსოფლიო ჩემპიონობის შენარჩუნებას.

— მაინც?

— შეიძლება 20 ან 30 წლიწადს, შეიძლება მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ამასთან, ჩემპიონის აზრით, მას კარგად უნდა უხდიდნენ, რათა ფინანსურ დაბრკოლებებს არ განიცდიდეს.

— მე არასოდეს მქონია მუდმივი შემოსავალი, — თქვა ფიშერმა, — ეს კი აუცილებელია, რათა შემეძლოს ჩემი ცხოვრება ჭადრაკს შევწირო!

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 224, 226, 229, 231, 233, 235, 239.



მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშების დღეებში ბევრი ლაპარაკი იყო მთავარი სტადიონის ძალიან ორიგინალურ და ეფექტურ, გამჭვირვალე სახურავის შესახებ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი ოლიმპიადის ორგანიზატორებს ძალიან ძვირი დაუჯდათ. მთავარი სტადიონის პლასტიკატის სახურავი ამ სურათზე მეორე პლანზეა აღბეჭდილი, წინა პლანზე კი სპორტსმენთა მრავალრიცხოვანი დარბაზებიდან ერთ-ერთის სახურავი მოჩანს.

იუნაიტედ პრესის ფოტო.

# ამომავალი მზის ქვეყანაში

ფუკუოკა, 7 დეკემბერი. იაპონიაში ექვსი ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა მეორე ტურნირი აქ გაიმართა და აურაცხელი მაყურებელიც მიიზიდა. შეჯიბრება მართლაც საინტერესო გამოდგა. პირველ დღეს რგოლებზე ვარჯიშში ყველას აჯობა იაპონელმა ა. ნაკაიამამ — 9,55 ქულა. მეორე იყო სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ნ. ანდრიანოვი (9,50), ხოლო მესამე — მ. ცუკაჰარა (9,45). მინსკელმა ვ. შჩუკინმა VI ადგილი დაიკავა (9,15), ერევნელმა ე. მიქაელიანმა კი VII (8,95).

ბჯენით ხტომაში საუკეთესო აღმოჩნდა ანდრიანოვი — 9,25. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ს. კასამაცუ (9,10) და ე. კენმოცუ (9,10).

ორძელზე ვარჯიშში მასპინძლებს ბადალი არ ჰყავდათ. გაიმარჯვა კასამაცუმ (9,55), მეორე იყო ნაკაიამა (9,40), მესამე — ცუკაჰარა (9,25). IV ადგილი დაიკავა მიქაელიანმა (9,05), VI — შჩუკინმა (8,30). ანდრიანოვს ხელი მოეცარა — სულ 7,90 ქულა დაიმსახურა.

ძელზე ვარჯიშში საუკეთესო იყო კ. იანცი (გდრ) — 9,65. საბჭოთა ტანმოვარჯიშეები უხეიროდ გამოვიდნენ: ლ. ბურდამ VIII ადგილი დაიკავა (8,90), ნ. დრონოვამ — X (8,45), ლ. ტურიშჩევამ — XII (8,25).

სამაგიეროდ, დრონოვამ ყველას აჯობა თავისუფალ ვარჯიშში — 9,75. II ადგილზეა ტურიშჩევა (9,70), ხოლო III — იანცი (9,50).

შეჯიბრების მეორე დღეს შესანიშნავად იასპარეზა XX ოლიმპიური თამაშების აბსოლუტურმა ჩემპიონმა ტურიშჩევამ, რომელმაც გაიმარჯვა ბჯენით ხტომაში (9,80) და ორძელზე ვარჯიშში (9,70). ხტომაში II ადგილზე გავიდა იანცი (9,65), III — ბურდა (9,60), V — დრონოვა (9,35).

ორძელზე ვარჯიშში მეორე შედეგს მიაღწია ბურდამ (9,55), ხოლო მესამეს — უნგრელმა ი. ბეკეშიმ (9,50). დრონოვამ მარცხის სიმწარე იწვნია: 7,70 ქულით მხოლოდ XI ადგილი ხვდა.

ვაჟთა შეჯიბრებაში ამჯერად მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო. მხოლოდ თავისუფალ ვარჯიშში შეძლო ანდრიანოვმა პირველობა გაეყო კასამაცუსთან (9,40-9,40). III ადგილზეა კენმოცუ — 9,35. მიქაელიანმა V ადგილი დაიკავა — 9,20. შჩუკინი მხუბუქად დაშავდა და არ უასპარეზია.

ტაიჭზე ვარჯიშში გაიმარჯვა კასამაცუმ — 9,30. II ადგილზეა ცუკაჰარა (9,25), ხოლო III — მიქაელიანი (9,15). ანდრიანოვმა მხოლოდ V ადგილი დაიკავა — 8,95.

ღერძზე სამივე საპრიზო ადგილი მასპინძლებს ხვდათ. ესენი არიან ცუკაჰარა (9,70), კენმოცუ (9,60) და კასამაცუ (9,50). ანდრიანოვი მეოთხე იყო (9,35), ხოლო მიქაელიანი — მეექვსე (9,10).

ბოლოს, მესამე შეხვედრა ტოკიოში გაიმართება 9-10 დეკემბერს.

## ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ინგლისი

ეროვნული პირველობის მორიგ, XX ტურში გათამაშების ლიდერმა „ლივერპულმა“ მხოლოდ დაძაბულ ბრძოლაში შეძლო ერთ-ერთი აუტსაიდერის „ბირმინგემ სიტის“ წინააღმდეგობის გატეხვა — 4:3. ანგარიში 3:3 იყო, როცა ლივერპულელმა ტოშაკმა საჯარიმო დარტყმით გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. ლივერპულელთაგან დანარჩენი გოლები გაიტანეს ლინდსეიმ (2) და კორმეკმა.

დიდ ინტერესს იწვევდა II და III ადგილებზე მყოფი გუნდების „ლიდს იუნაიტედისა“ და „არსენალის“ შეხვედრა ლონდონში. მწვავე თამაშში გაიმარჯვეს მასპინძლებმა (2:1) და II ადგილზე გადაინაცვლეს.

აი, ლიდერთა სამეული:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლივერპული“ | 20 | 13 | 4 | 3 | 41:24 | 30 |
| „არსენალი“ | 21 | 11 | 5 | 5 | 27:21 | 27 |
| „ლიდს იუნაიტედი“ | 20 | 10 | 6 | 4 | 38:24 | 26 |

### შოტლანდია

გათამაშების XIV ტურში ლიდერმა — გლაზგოს „სელტიკმა“ სტუმრად დიდი ანგარიშით მოუგო „დუმბარტონს“ — 6:1. II ადგილზე მყოფმა ედინბურგის „ჰიბერნიენმა“ დაამარცხა „ფოლკერკი“ (3:0), ხოლო „გლაზგო რეინჯერსმა“ შინ, „აიბროქს პარკის“ სტადიონზე წააგო შეხვედრა „ჰართ ოვ მიდლოტიენთან“ — 0:1.

აი, ორი ლიდერის მდგომარეობა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 14 | 12 | 1 | 1 | 44:14 | 25 |
| „ჰიბერნიენი“ | 14 | 10 | 1 | 3 | 33:15 | 21 |

## საკუთარი ინფორმაცია

# ბესტის გაძევება

„ჯორჯ ბესტი, ფეხბურთელი, 26 წლისა. საორიენტაციო ფასი — 300 ათასი გირვანქა სტერლინგი. დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მიმართონ კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედს“.

ეს განცხადება მთელს ინგლისს მოედო მას შემდეგ, რაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ადმინისტრაციამ გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა ზომაზე მეტად ტემპერამენტული საფეხბურთო ვარსკვლავი.

ბესტის ირგვლივ გაჩაღებულმა აჟიოტაჟმა აპოგეას მიაღწია. რა არ მოხდა ცნობილი ფორვარდის ელვისებური კარიერის პერიოდში! მისი სახელი არ შორდება ინგლისური ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს. რეპორტიორები მის ყოველ ნაბიჯს აღწერენ. თავად ბესტი ყოველი საშუალებით ცდილობს პოპულარობა მოიხვეჭოს. მას უამრავი სასკანდალო თავგადასავალი ჰქონდა „სილამაზის დედოფლებთან“ და ეკრანის ვარსკვლავებთან, ბევრჯერ ხულიგნური საქციელისთვის გაუკიცხავთ. ბესტის უდისციპლინობა მინდორზე და მსაჯებთან კამათი ბევრჯერ იქცა ინგლისის ფეხბურთის ლიგის დისციპლინარული კომიტეტის მსჯელობის საგნად.

ახლა, როგორც ჩანს, ბესტის „ვარსკვლავური სენი“ მისი კლუბის ხელმძღვანელებს ყელში ამოუვიდათ. ბოლოს და ბოლოს, მათ ფეხბურთელი სჭირდებათ და არა ვარსკვლავი, რომელიც რეგულარულად არღვევს სპორტულ რეჟიმს, ყოველ წუთს შეიძლება უნებართვოდ გაფრინდეს უცხოეთში.

სხვათა შორის, ბესტი ახლაც ტყედაა გაჭრილი...

რეპორტიორებმა სცადეს ინგლისის რამდენიმე კლუბისგან შეეტყოთ, აპირებენ თუ არა ისინი ბესტის ყიდვას. „კრისტალ პალასში“ ამ შეკითხვას აშკარა სიცილით უპასუხეს: „ბესტიო? ხუმრობთ?“. ინგლისში ცნობილი მეორე კლუბის „ვესტ ჰემის“ წარმომადგენელმა კორესპონდენტებს საერთოდ აუკრძალა ასეთი სულელური შეკითხვების მიცემა. ინგლისის ფეხბურთის ლიგის მდივანმა ა. ჰადეიკერმა განაცხადა, რომ ბესტზე ლაპარაკით ყურები აქვს გამოჭედილი და მისი სახელის გაგონება აღარ შეუძლია.

ვ. მანველოვი.
(საკდესის კორ.).

ლონდონი.

## 19 45

◆ ლონდონი, 8 დეკემბერი. მაგიდის ჩოგბურთის შვედმა ოსტატებმა ევროპული ლიგის პირველობის მორიგ მატჩში ანგარიშით 5:2 სძლიეს ინგლისის ნაკრებს და ლიდერობა იგდეს ხელთ: მათ ოთხი შეხვედრიდან სამი მოიგეს. ი. ვიკსტრემმა, რომელმაც ინგლისელებთან მატჩში მსოფლიო ჩემპიონი ს. ბენგტსონი შეცვალა, საუცხოოდ გამოიჩინა თავი: ერთეულთა თანრიგის ორივე შეხვედრა მოიგო. გამარჯვებულთა შემადგენლობაში იყო ევროპის არაერთგზის ჩემპიონი ჩ. იუჰანსონიც. ინგლისელებმა წარმატებას მხოლოდ ქალთა ერთეულებისა და შერეულ წყვილთა თანრიგებში მიაღწიეს. შვეციის ნაკრებს კვალში მიჰყვებიან უნგრეთისა და გფრ-ის გუნდები: ერთმაც და მეორემაც ორივე მატჩი მოიგო. სსრ კავშირის ნაკრები, რომელმაც თავისი პირველი შეხვედრა შვედებთან წააგო, 16 დეკემბერს მოსკოვში ინგლისელებს უმასპინძლებს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

55 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 02780